ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომის
ოქმი N3

18.05.2022
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თეა ჯუღელი, მერაბ ჭოხონელიძე, მარეხი ნიჟარაძე, მანანა ჩიხლაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ხათუნა არველაძე, ქეთევან ხურციძე, ანა კოხრეიძე, თედო მესხი, ონლაინ ჩაერთო კახა გაბუნია.

სულ 11 წევრი.

არ ესწრებოდა: ნინო ჩიკვაშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეონა მელქაძე, ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე გიგა შუშანია, ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბაგა-ბაღების გაერთიანების მმართველი დავით წიტაიშვილი, ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ გაერთიანებათა მმართველი კობა ფხაკაძე, საზოგადოება ბაღისკიდის წევრი იამზე მოწონელიძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანებაში არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ.
   ბ. მიმდინარე საკითხები.
2. ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების გაწეული სამუშაოს თაობაზე ანგარიშის მოსმენა.
   ბ. მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა, ღია კენჭისყრით ერთხმად დაადგინეს;

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული I საკითხი:
ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანებაში არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ.
ბ. მიმდინარე საკითხები.

წარმოდგენილ საკითხებზე ზოგადი მიმოხილვა გააკეთა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ:

,,მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომას გახსნილად ვაცხადებ. თქვენის ნებართვით წარმოგიდგენთ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანებაში არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ - მომხსენებელი ბატონი დავით წიტაიშვილი - ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების მმართველი და ასევე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების გაწეული სამუშაოს თაობაზე ანგარიშის მოსმენა- მომხსენებელი ბატონი კობა ფხაკაძე - ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველი. ჩვენი დღის წესრიგის შედგენის საფუძველი არის ის გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უნდა ვიმუშაოთ მიმდინარე წლის განმავლობაში. პირველ საკითხთან დაკავშირებით, ვთხოვთ ბატონ დავით წიტაიშვილს".

დღის წესრიგით გათვალისწინებული I საკითხი გაგვაცნო, ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების მმართველმა, ბატონმა დავით წიტაიშვილმა: ,,მოგესალმებით, მადლობა მოწვევისთვის. თქვენი თხოვნის საუძველზე, გადმოგზავნილია ანგარიში, გაწეული მუშაობის შესახებ. ქუთაისში არის 37 ბაგა-ბაღი, სადაც რეგისტრირებულია 8200 აღსაზრდელი, დასაქმებულია 1800 ადამიანი. ბიუჯეტი არის 14 000 000(თოთხმეტი მილიონი) ლარი. ძირითადად თანხები ხმარდება კვებას, ხელფასს და კომუნალურ გადასახადებს. რაც შეეხება კვებას, პრემიერის N487 ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრულია კალორაჟი, როგორი უნდა იყოს ამ ასაკის ბავშვებისთვის. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქუთაისში არის საუკეთესო კვება საქართველოში . სამწუხაროდ, თითქმის 2 წლის მანძილზე, ეპიდემიის გამო სააღმზრდელო პროცესი იყო შეჩერებული. თუმცა კვებისთვის განკუთვნილი ულუფები ამ ხნის განმავლობაში მზადდებოდა და ფასოვდებოდა აღსაზრდელებისთვის.

ასევე, რომ მეთოდური თვალსაზრითითაც პირველები ვართ ქვეყნის მასშტაბით. მოთხოვნებიდან გამომდინარე ზაფხულის თვეებში იგეგმება მორიგე ბაღების მუშაობა.

გამომდინარე იქედან, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების რაოდენობა ძალიან მზარდია, ბაღში დაემატა სპეც პედაგოგები, რომლებიც გადამზადებული არიან ამ მიმართულებით. ასეთი ბავშვბისთვის ბაღებში შექმნილია ის გარემო, სადაც თავს გრძნობენ უსაფრთხოდ.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ავტოქარხნის დასახლებაში შენდება 2 ბაღი, იქ სადაც მოსახლეობა ბევრია და კომპაქტურადაა დასახლებული. ინვენტარი ნელ-ნელა გამოდის მწყობრიდან, მათ შესაძენად სასურველია ბიუჯეტის გაზრდა შესაძლებლობების ფარგლებში. აზრი გამოთქვეს:

მერაბ ჭოხონელიძე: ,,2024 წლიდან იგეგმება სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაცია, რომელსაც ექნება მკაცრი მოთხოვნა.ამიტომ, წინასწარ აუცილებლად გასათვალისწინებელია ყველა იმ საჭიროებების დაცვა, რომ ავტორიზაცია გაიაროს ბაღებმა".

დავით წიტაიშვილი: ,,საბავშვო ბაღების ავტორიზაცია იწყება 2024 წელს და უნდა დასრულდეს 2030 წელს. გამომდინარე იქედან, რომ ვადა დიდია, ამიტომ ყველა საჭიროება ავტრო ზაციისთვის იქნება გათვალისწინებული".

ბექა ქებულაძე:,, 24-ე საბავშვო ბაღში არ არის თანამედროვე ტიპის ინვენტარი ეზოში, იგეგმება თუ არა მათი შეძენა"?

დავით წიტაიშვილი: ,,ყოველწლიურად ვცდილობთ შევაკეთოთ ატრაქციონები, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ბიუჯეტი ცოტაა, პირველ რიგში მოსაგვარებელია ბაღის შიგა სივრცის მოწესრიგება".

თედო მესხი: ,,მე-17 ბაღში სულ იყო ქვეწარმავლების პრობლემა, ახლა რა სიტუაციაა"?

დავით წიტაიშვილი: ,,დღეის მდგომარეობით მთელი ბაღი გალესილია, შეღებილია და შეწამლულია".

ირაკლი შენგელია: ,, რამდენად შეძლებთ უზრუნველყოთ, საზაფხულო ბაღების არსებობა. თუ პრობლემაა, რასთანაა დაკავშირებული, ჩვენ მზად ვართ დაგეხმაროთ".

დავით წიტაიშვილი: ,,წელს იქნება მორიგე ბაღები, რადგან დიდია მოთხოვნა მშობლების მხრიდან, თუ ხელი არ შეგვიშალა ეპიდ სიტუაციამ".

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა და კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კომისიამ ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინა:

მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანებაში არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ირგვლივ განხილული საკითხები.

მოისმინეს:

ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების გაწეული სამუშაოს თაობაზე ანგარიშის მოსმენა.
ბ. მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხი, წარმოადგინა ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველმა, ბატონმა კობა ფხაკაძემ. ,,მოგესალმებით, გაერთიანებაში არის 16 ფილიალი, 41 სპორტის სახეობა, 4600 სპორტსმენი ირიცხება, ბიუჯეტია 4 920 000 (ოთხი მილიონ ცხრაას ოცი ათასი) ლარი, აქედან 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი სახელფასო ფონდია, დანარჩენი ხმარდება მივლინებებს, კომუნალურ გადასახადებს, ასევე გარკვეული პრობლემების მოგვარებას. სპორტის ყველა სახეობა არის უფასო. დღეის მდგომარეობით, ჩვენთან ერთად ყველა ფედერაცია სრული დატვირთვით მუშაობს.

ჩატარდა რამდენიმე სპორტული სკოლის სრული რეაბილიტაცია, გვაქვს ბევრი იჯარა საჯარო სკოლებში.გვჭირდება თქვენი დახმარება იმ კუთხით, რომ რა თანხასაც ვიხდით იჯარებში, სასურველია მოხმარდეს დარბაზების კეთილ მოწყობას.

ერთ-ერთ დიდ პრობლემად რჩება სამივლინებო თანხები. გათვლილია 30 ლარი სასტუმრო და სამჯერადი კვებითი მომსახურებისთვის. ეს არის ძალიან ცოტა, გთხოვთ გაითვალისწინოთ.

მადლობა მინდა ვუთხრა ყველა ფედერაციას აქტიური თანამშრომლობისთვის,ისინი ასევე გვეხმარებიან ინვენტარით, თუმცა გარკვეულწილად ჩვენც ვუდგევართ მხარში.
აზრი გამოთქვეს:
მარეხი ნიჟარაძე: ,,რა კეთდება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით სპორტულ სკოლებში"?
კობა ფხაკაძე: ,,6 სპორტულ სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. დამატებით, ჩვენი ბიუჯეტიდან, 4600 ლარზე გამოცხადდა ტენდერი, ყინულის მოედნის ინვენტარის შესაძენად. გავწიეთ ასევე სხვადასხვა სპორტულ სკოლებში 3000-4000 ათასი ლარის რაოდენობის დახმარებები".
ხათუნა არველაძე: ,,რა ეტაპზე ვართ წყალბურთის განვითარებასთან დაკავშირებით?'?
კობა ფხაკაძე: ,,დღეის მდგომარეობით, სამწუხაროდ საცურაო აუზი არ გვაქვს, თუმცა შენდება ოლიმპიური სტანდარტების მქონე საცურაო აუზი''.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა და კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კომისიამ ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინა:

მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში, გაწეული სამუშაოს თაობაზე.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და
სპორტის კომისიის თავმჯდომარე
ბექა ქებულაძე